ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲕᲔᲓᲝᲛᲝᲑᲘ

№ 8 (331)

1968 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 8 (331) აგვისტო 1968 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

116. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ.

117. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის სახელზე მოქალაქეთა მიერ გამოგზავნილი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ.

118. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. თბილისის და თბილისის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ.

119. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მაიაკოვსკისა და ლაგოდეხის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების მიერ მოსახლეობისათვის ანგარიშის ჩაბარების მდგომარეობის შესახებ.

განყოფილება მეორე

120. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

121. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

122. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. თ. თოდუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

107453

ეროვნული ბიბლიოთეკა

123. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. მ. ბ[illegible]ლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

124. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ა. პირადოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

125. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. დ. ხახანოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

126. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ე. პაატაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

127. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ქვების მრეწველობის სამინისტროს „სამტრესტის“ ვარციხის ღვინის ქარხნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

116 საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ

„სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ორ სამინისტროდ გაყოფის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 11 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

გარდაიქმნას საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროდ (საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 2 აგვისტო.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

117 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის სახელზე მოქალაქეთა მიერ გამოგზავნილი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მოქალაქეთა განცხადებები, წინადადებები და საჩივრები, რომლებიც მიღებული იქნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის სახელზე, სესიის დამთავრებისთანავე გადაეგზავნება იმ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, რომელთაც უშუალოდ ევალებათ დაყენებული საკითხების გადაწყვეტა.

2. დაწესდეს, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები პასუხისმგებელნი არიან პირველ მუხლში აღნიშნული წინადადებების, აგრეთვე განცხადებებსა და საჩივრებში დაყენებული საკითხების დროულად და სწორად გადაწყვეტისათვის.

ამ წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის შედეგებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოებისა და დაწესებუ-

№ 6 ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებების ხელმძღვანელები აცნობებენ როგორც მათ ავტორებს, ისე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 22 აგვისტო.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

118 ქ. თბილისის და თბილისის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის და თბილისის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, ასრულებენ რა სკკპ XXIII ყრილობის და ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობა. ამჟამად ისინი უფრო ღრმად სწვდებიან ეკონომიკის, კულტურისა და ყოფაცხოვრების ცალკეულ საკითხებს და დიდ დახმარებას უწევენ საბჭოებსა და მათ აღმასრულებელ კომიტეტებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების, მშრომელთა კომუნისტური აღზრდისა და სხვა მნიშვნელოვანი ამოცანების წარმატებით გადაჭრაში.

მუდმივი კომისიები სისტემატურად სწავლობენ მათ კომპენტენციაში შემავალ საკითხებს, რომელთა გამო მსჯელობენ კომისიების სხდომებზე და საჭიროების შემთხვევაში განსახილველად წარუდგენენ მათ სესიებს ან აღმასკომის სხდომებს; ამასთან, აქტიურად მონაწილეობენ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში.

კარგად მუშაობენ თბილისის საქალაქო საბჭოს საბიუჯეტო-საფინანსო, მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიები; ლენინის რაიონში — მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, საზოგადოებრივი წესრიგს დაცვის; კალინინის რაიონში — კეთილმოწყობის, საბინაო მეურნეობის; 26 კომისრის რაიონში — ჯანმრთელობის დაცვის, საბიუჯეტო-საფინანსო; კიროვის რაიონში — ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო მეურნეობის; პირველი მაისის რაიონში — საბიუჯეტო-საფინანსო და ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიები. ისინი აქტიურად მონაწილეობენ საბჭოების პრაქტიკულ საქმიანობაში, მათი თავმჯდომარეები გამოდიან მოხსენებებით სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე და მუშაობის შესახებ პერიოდულად ანგარიშს აბარებენ სესიებს.

საანგარიშო პერიოდში თბილისის საქალაქო საბჭოს 16 მუდმივმა კომისიამ სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე შეიტანა 64 საკითხი, ხოლო რაიონული საბჭოების 85 მუდმივმა კომისიამ — 299 საკითხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდმივი კომისიების უმეტესობას მჭიდრო კავშირი აქვს შესაბამის განყოფილებებთან და სამმართველოებთან, ისინი ერთობლივად სწავლობენ საკითხებს, იხილავენ მათ კომისიების სხდომებზე და ახორციელებენ ღონისძიებებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის. კალინინის რაიონული საბჭოს საბიუჯეტო-საფინანსო მუდმივი კომისიისა და რაიონის საფინანსო ორგანოების მიერ განხორციელებულმა ერთობლივმა ღონისძიებებმა უზრუნველყვეს 1968 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ნახევარი წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულება. ანალოგიური მდგომარეობაა პირველი მაისის, 26 კომისრისა და სხვა რაიონებში.

საქალაქო და რაიონულ საბჭოებთან შექმნილი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიები აკონტროლებენ წარმოება-დაწესებულებებში შრომითი კანონმდებლობისა და საპასპორტო რეჟიმის დაცვას, მოზარდთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობას და ატარებენ ღონისძიებებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მუდმივი კომისიების უმრავლესობა პერიოდულად ამოწმებს აღმასკომსა და სესიებზე მათ მიერ განსახილველად შეტანილი წინადადებების გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოების მუდმივ კომისიებს თავიანთ მუშაობაში ჯერ კიდევ გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებანი.

26 კომისრის რაიონული საბჭოს კეთილმოწყობის, ოქტომბრის რაიონული საბჭოს საბინაო მეურნეობის, ლენინის რაიონული საბჭოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, პირველი მაისის რაიონული საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის, კულტურულ-საგანმანათლებლო, კეთილმოწყობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივ კომისიებს 1968 წელს სესიისა და აღმასკომის სხდომის განსახილველად არ წარუდგენიათ არც ერთი საკითხი.

ზოგიერთ მუდმივ კომისიას გამოაქვს აღმასკომისა და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიმართ დამავალდებულებელი გადაწყვეტილებები (პირველი მაისის რაიონული საბჭოს სახალხო განათლებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიები).

არის შემთხვევები, როდესაც მუდმივი კომისიები არღვევენ დებულებას „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების მუდმივი კომისიების შესახებ“; კერძოდ, არჩეული არ არიან, როგორც საქალაქო, ისე რაიონული საბჭოების სამანდატო კომისიების მდივნები, სამანდატო კომისიების სხდომებზე არ არის განხილული მოხსენებები არჩევნების ჩატარების შედეგებისა და დეპუტატების რწმუნებათა ცნობის შესახებ, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიების შემადგენლობაში არჩეული არიან მილიციის განყოფილებების უფროსები და სხვა. ცალკეულ შემთხვევებში ამ კომისიების სხდომები ტარდება ქვორუმის დარღვევით (თბილისის საქალაქო საბჭოს საბინაო მეურნეობის, საბიუჯეტო-საფინანსო მუდმივი კომისიები და სხვ.). მათი მუშაობის პრაქტიკაში არ არის დანერგილი გამსვლელი სხდომების ჩატარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის საბჭოს აღნიშნული კომისიები ამა თუ იმ საკითხის შესწავლის დროს სათანადო კავშირს არ ამყარებენ რაიონული საბჭოების შესაბამის კომისიებთან.

რაიონული საბჭოების აღმასკომები, როგორც წესი, თავის სხდომაზე არ იხილავენ სტატისტიკურ ანგარიშებს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ და არ სახავენ საჭირო პრაქტიკულ ღონისძიებებს ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

მუდმივი კომისიების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმით, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს და თბილისის რაიონული საბჭოების აღმასკომები საჭირო პრაქტიკულ დახმარებას არ უწევენ მათ. იშვიათად ტარდება მუდმივი კომისიების თავმჯდომარეთა და მდივანთა შეკრებები გამოცდილების განზოგადების მიზნით. კომისიებს არ უზრუნველყოფენ სათანადო მასალებით რაიონის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და თბილისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) მიაღწიონ იმას, რომ მუდმივი კომისიები თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობდნენ სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულებას, მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლებას, საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვას;

ბ) უზრუნველყონ მუდმივი კომისიების ფართო მონაწილეობა საბჭოების პრაქტიკულ საქმიანობაში — სესიებისა და აღმასკომის სხდომებისათვის საკითხების მომზადება-განხილვაში და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაში;

გ) მუდმივი კომისიების მუშაობაში ჩააბან საბჭოს დეპუტატები, აქტივი და სათანადო დარგის სპეციალისტები, დაეხმარონ მათ სამუშაო გეგმების შედგენასა და საკითხების შესწავლაში. რეგულარულად განიხილონ აღმასკომის სხდომებსა და სესიებზე მუდმივი კომისიების მიერ შემოტანილი საკითხები და რეაგირების გარეშე არ დატოვონ მათ მიერ დაყენებული წინადადებანი;

დ) პერიოდულად შეამოწმონ და განიხილონ თუ როგორ ასრულებენ წარმოება-დაწესებულებები მუდმივი კომისიების მიერ დაყენებულ წინადადებებს და მიიღონ ზომები, რათა ისინი არ იქნენ დატოვებული უყურადღებოდ;

ე) პერიოდულად ჩაატარონ მუდმივი კომისიების თავმჯდომარეთა და მდივანთა თათბირები მათი უფლება-მოვალეობების განმარტებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით; სისტემატურად გააცნონ ზემდგომი ორგანოების დადგენილებანი და უზრუნველყონ სათანადო საცნობარო მასალით ქალაქისა და რაიონის სამეურნეო-კულტურული მაჩვენებლების შესახებ.

2. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და თბილისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს 1969 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 იანვრისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარმოუდგინონ ანგარიში ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი მუდმივი კომისიების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 22 აგვისტო.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

119 მაიაკოვსკისა და ლაგოდეხის მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების მიერ მოსახლეობისათვის ანგარიშის ჩაბარების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა მაიაკოვსკისა და ლაგოდეხის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა ამხ. რ. ქარჩხაძისა და ამხ. ა. რეხვიაშვილის მოხსენებები მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ მოსახლეობისათვის ანგარიშის ჩაბარების მდგომარეობის შესახებ და აღნიშნავს, რომ სკკპ XXIII ყრილობისა და პარტიის შემდგომ დადგენილებათა საფუძველზე ორივე რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, მათ საქმიანობაში ფართოდ დამკვიდრდა მოსახლეობისათვის ანგარიშის ჩაბარების პრაქტიკა, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა კავშირი ამომრჩევლებთან და დიდად შეუწყო ხელი ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების როლის შემდგომ ამაღლებას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში.

გასულ წელს მაიაკოვსკის რაიონში მოსახლეობას ანგარიში ჩააბარა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ყველა აღმასკომმა და განყოფილების გამგემ. ჩატარდა 53 კრება, რომელსაც დაესწრო 18.763 მოქალაქე. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო კრებებს რეგულარულად ესწრებიან რაიონული საბჭოს აღმასკომის განყოფილებათა გამგეები, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

კრების უკეთ მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარების მიზნით აღმასკომები მოსახლეობას რამდენიმე დღით ადრე ატყობინებენ კრების გამართვის დროს, ადგილს და დღის წესრიგს, რაც გარკვეულად ხელს უწყობს მშრომელთა აქტიურობას ანგარიშის განხილვაში. მაგალითად, დიმის სასოფლო საბჭოს მშრომელთა საერთო კრებაზე, რომელსაც ესწრებოდა მოსახლეობის 95 პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტი, კამათში მონაწილეობა მიიღო 17 კაცმა, ხოლო ობჩის სასოფლო საბჭოს აღმასკომის ანგარიშის განხილვაში, რომელშიც მონაწილეობდა 510 მშრომელი, კამათში გამოვიდა 12 კაცი. კრებები, როგორც წესი, მიმდინარეობს საქმიან ვითარებაში, მშრომელები გამოთქვამენ თავიანთ კრიტიკულ შენიშვნებს, აყენებენ წინადადებებს. სასოფლო საბჭოს მშრომელთა საერთო კრებებზე დაყენებული საკითხების განხორციელების შედეგად სოფელ ფერსათში აშენდა დაწყებითი სკოლა, ასევე რადიოფიცირებულ და ელექტროფიცირებულ იქნა სოფლები საკრაულა, ზეგანი, ხანი და სხვ.

ლაგოდეხის რაიონში გასულ წელს და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მოსახლეობას ანგარიში ჩააბარა ადგილობრივი საბჭოების ყველა აღმასკომმა, სადაც კრებებს დაესწრო 6.700-ზე მეტი მშრომელი და კამათში მონაწილეობა მიიღო 75 კაცმა.

აღმასკომის მიერ ანგარიშის დროს კრებებზე დაყენებული წინადადებების შესაბამისად სოფელ აფენის ცენტრალურ გზაზე გაკეთებულია დღის განათების ლამპიონები, მიღებულია ზომები სოფელში არტეზიული ჭების გასაკეთებლად; მდინარეზე, სოფელ ნინიგორასა და შრომას შორის, კეთდება ბოგირი და სხვ.

ამასთან ერთად, მაიაკოვსკისა და ლაგოდეხის რაიონებში ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ მოსახლეობისათვის ანგარიშის ჩაბარების საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებებს.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ანგარიშებში, ზოგჯერ, საკმარისად არ არის ასახული აღმასკომისა და საბჭოს საქმიანობა, კერძოდ, არ ჩანს თუ როგორ ასრულებს აღმასკომი საბჭოსა და ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებებს, ამომრჩეველთა წინადადებებსა და განაწესებს. ნაკლებად შუქდება მუდმივი კომისიების, დეპუტატებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა, ცალკეული საწარმოს ან რომელიმე დარგის ჩამორჩენის მიზეზები და სხვ.

1968 წლის პირველ ნახევარში მაიაკოვსკის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების უმრავლესობას მოსახლეობისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია.

ლაგოდეხის რაიონში ნაკლები ყურადღება ეთმობა კრებების წინასწარ მომზადებასა და ჩატარებას, რის გამოც კრებებს არ ესწრება მშრომელთა დიდი ნაწილი; ყოველთვის არ წარმოებს მოსახლეობის მიერ საანგარიშო კრებებზე წამოყენებული კრიტიკული შენიშვნების აღრიცხვა და არ ისახება კონკრეტული ღონისძიებები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. აღსანიშნავია ისიც, რომ საანგარიშო კრებები არ ტარდება რეგულარულად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მოსახლეობის ფართო მასებთან კავშირის შემდგომი განმტკიცებისა და სამეურნეო-კულტურული მშენებლობის საქმიანობაში მათი აქტიურად ჩაბმის მიზნით დაევალოს მაიაკოვსკისა და ლაგოდეხის მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ფართოდ დანერგონ აღმასკომების, აღმასკომების განყოფილებათა გამგეების, წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშების მოსმენის პრაქტიკა მშრომელთა კრებებზე საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში;

ბ) მოსახლეობის საერთო კრებების უკეთ მომზადებისა და ჩატარების მიზნით წინასწარ აცნობონ მოსახლეობას კრების მოწყობის დრო, ადგილი და დღის წესრიგი. ანგარიშების განხილვაში ფართოდ ჩააბან მუდმივი კომისიები, საბჭოების დეპუტატები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, უზრუნველყონ საანგარიშო კრებებზე მოსახლეობის უმრავლესობის დასწრება და საკითხის განხილვაში მათი აქტიური მონაწილეობა;

გ) უზრუნველყონ საანგარიშო კრებებზე მოქალაქეთა მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წამოყენებული წინადადებების აღრიცხვა და სათანადო ზომების მიღება მათ შესასრულებლად.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოებს პრაქტიკაში უფრო ფართოდ დანერგონ აღმასკომების, მათ განყოფილებათა გამგეების, სამმართველოებისა და ცალკეულ საწარმოთა უფროსების გამოსვლა მოსახლეობის წინაშე მოხსენებებით თავიანთი მუშაობის შესახებ. ამასთან, გაატარონ სათანადო ღონისძიებანი ამ კრებებზე მოსახლეობის მიერ დაყენებული საკითხების დადებითად გადაჭრისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 22 აგვისტო.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

120 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“**:

1. მამია კალისტოს ძე **დოლიძე** — ტექნიკური სამსახურის კაპიტანი.
2. გრიგოლ არქიპოს ძე **კარგინი** — ინჟინერ-კაპიტანი.
3. ელგუჯა შალვას ძე **ლუხუტაშვილი** — ეფრეიტორი.
4. ოთარ ვალერიანის ძე **ნანიკაშვილი** — ტექნიკოს-ლეიტენანტი.
5. გიორგი არტემის ძე **ყირიმელი** — უმცროსი სერჟანტი.
6. სერგო არტემის ძე **ხაჩატუროვი** (სიკვდილშემდგომ) — ცხინვალის ხეტყის მრეწველობის კომბინატის ყოფილი მძღოლი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 22 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

121 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“**:

1. ნოშრევან აკაკის ძე **გოთოშია** — სამტრედიის ხე-ტყის დამმუშავებელი კომბინატის მუშა.
2. კამრან გუსეინ ოღლი **გუსეინოვი** — მარნეულის რაიონის არაფლოს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.
3. მუზახიმ მამედ ოღლი **მუსტაფაევი** — მარნეულის რაიონის ქვემო სარალის საშუალო სკოლის მოსწავლე.
4. ხუტა ერასტოს ძე **ნანეიშვილი** — ზუგდიდის გაზის კონტორის ხობის უბნის უფროსი.
5. ტელმან სულეიმან ოღლი **რაგიმოვი** — მარნეულის რაიონის არაფლოს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 22 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

122 ამხ. მ. თ. თოდუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ჩხოროწყუს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მიხეილ თედოს ძე **თოდუა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 2 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

123 ამხ. ნ. მ. ჯამასპიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილების უფროსი ინსტრუქტორი ამხ. ნინო მიხეილის ასული ჯამასპიშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 2 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

124 ამხ. ლ. ა. პირადოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ და ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ამხ. ლაზარე ანდრიას ძე **პირადოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 2 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

125 ამხ. ს. დ. ხახანოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორი ამხ. სოლომონ დავითის ძე **ხახა-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოვი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 2 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

126 ამხ. შ. ე. პაატაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამშენებლო ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ხელსაწყოთმშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ამხ. შალვა ესტატეს ძე პაატაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 27 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

127 საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს „სამტრესტის“ ვარციხის ღვინის ქარხნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მეღვინეობის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, დაარსების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს „სამტრესტის“ ვარციხის ღვინის ქარხანა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 30 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1968 წლის 22 აგვისტოს ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებით და „დედობის მედლებით“ დააჯილდოვა 789 დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან		65
ქ. რუსთავიდან		5
ქ. ფოთიდან		2
ქ. ქუთაისიდან		10
ქ. ჭიათურიდან		16
ადიგენის	რაიონიდან	12
ასპინძის	„	9
ბოგდანოვკის	„	14
ბოლნისის	„	57
ბორჯომის	„	5
გეგეჭკორის	„	26
გორის	„	16
გურჯაანის	„	3
დუშეთის	„	3
ზესტაფონის	„	8
ზუგდიდის	„	31
თელავის	„	8
თიანეთის	„	4
თერჯოლის	„	20
კასპის	„	8
ლაგოდეხის	„	59
ლენტეხის	„	18
მაიაკოვსკის	„	5
მარნეულის	„	33
მცხეთის	„	14
ონის	„	10
ორჯონიკიძის	„	9
საგარეჯოს	„	75
სამტრედიის	„	7
საჩხერის	„	22
სიღნაღის	„	6
ქარელის	„	15
ყვარლის	„	8
ჩხოროწყუს	„	20

№ 8
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხაკაიას	რაიონიდან	22
წალკის	„	52
წულუკიძის	„	3
ხაშურის	„	11
ხობის	„	7
სამხრეთ ოსეთის ა/ო	. . . . .	66